

შეთავაზების მიმოხილვა

ეს მიმოხილვა აღწერს ობლიგაციების ძირითად პირობებს. ეს მიმოხილვა არ არის სრული და პროსპექტის დარჩენილ ნაწილთან მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული. ობლიგაციების უფრო დეტალური აღწერისთვის იხილეთ „ობლიგაციის პირობები“. სიტყვებისა და გამოთქმების „პირობებში“ მოცემულ განმარტებას ანალოგიური განმარტება ექნება ამ მიმოხილვაშიც.

შეთავაზება US\$300,000,000 5.75% ობლიგაციების შეთავაზება, რომელთა ვადა 2024 წელს მოდის.

ემიტენტის მიერ ობლიგაციების შეთავაზება ხდება (i) აშშ-ში ზოგიერთი კვალიფიციური ინსტიტუციონალური მყიდველისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია აშშ-ის ფასიანი ქაღალდების აქტის წესი 144A-ს მიხედვით) აშშ-ის ფასიანი ქაღალდების აქტის წესი 144A-ს მიხედვით; და (ii) აშშ-ს ფარგლებს გარეთ ოფშორულ ოპერაციებში აშშ-ის ფასიანი ქაღალდების აქტის რეგულაცია S-ის მიხედვით.

ემიტენტი სს თიბისი ბანკი

ერთიანი ბუქრანერები J.P. Morgan Securities plc, Renaissance Securities (Cyprus) Limited და UBS AG London Branch.

ერთიანი თანამმართველები ერთიანი ბუქრანერები და შპს თიბისი კაპიტალი

რწმუნებული BNY Mellon Corporate Trustee Services Limited.

ძირითადი გადახდის და გადაცემის აგენტი The Bank of New York Mellon, London Branch.

რეგისტრატორი The Bank of New York Mellon SA/NV, Luxembourg Branch.

აშშ გადახდის აგენტი The Bank of New York Mellon, New York Branch.

განთავსების ფასი ობლიგაციების ძირის 98.934%.

პროცენტი ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური 5.75% 2019 წლის 19 ივნისიდან (ამ თარიღის ჩათვლით) 2024 წლის 19 ივნისამდე (ამ თარიღის გამოკლებით). ობლიგაციების პროცენტი გადახდილ იქნება ნახევარ-წლიურად შესაბამისად ყოველი წლის 19 ივნისს და 19 დეკემბერს, დაწყებული 2019 წლის 19 დეკემბრიდან.

ობლიგაციების სტატუსი და რიგითობა ობლიგაციები წარმოადგენენ ემიტენტის არა-უზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებებს (პირობა 4(a)-ს (უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა) შესაბამისად) და ყველა დროს იქნებიან *pari passu* რანგში ერთმანეთში უპირატესობის გარეშე. ობლიგაციები, გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისებისა და პირობა 4-ის (დათქმები) ფარგლებში, ყველა დროს გადახდის რიგითობით იქნებიან არანაკლებ *pari passu* ემიტენტის ყველა სხვა არასუბორდინირებულ კრედიტორთან.

ფორმა ობლიგაციების გამოშვება მოხდება დემატერიალიზებული რეგისტრირებული ფორმით, კუპონების დამატების გარეშე, US\$ 200,000 მოცულობით და ამ თანხაზე მატებული US\$ 1,000-იანი ჯერადობით. ობლიგაციები წარმოადგენს იქნება რეგისტრირებული ფორმით კუპონების დამატების გარეშე რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების და წესი 144A გლობალური სერთიფიკატების ფორმით. რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების დეპონირება და გაფორმდება Euroclear-ის და Clearstream, Luxembourg-ის ჩვეულებრივი დეპოზიტარის ნომინალური მფლობელის სახელზე. წესი 144A გლობალური სერთიფიკატების დეპონირება და ნომინალური რეგისტრაცია მოხდება Cede & Co-ს სახელზე, რომელიც წარმოადგენს DTC-ს ნომინანტს. რეგულაცია S გლობალური სერთიფიკატების და წესი 144A გლობალური სერთიფიკატების მფლობელობის ან მისი გადაცემის დადასტურება მოხდება მხოლოდ DTC-ს, Euroclear-ის და Clearstream, Luxembourg-ის მიერ შენახული ჩანაწერების შესაბამისად. გლობალური სერთიფიკატების გადაცვლა საბოლოო სერთიფიკატებში მოხდება მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში, რომლებიც აღწერილია „ობლიგაციების გლობალური ფორმის პირობების მიმოხილვაში“.

გამოსყიდვა ვადაზე ადრე გამოსყიდვის ან აქსელერაციის პირობების გათვალისწინებით, ობლიგაციები გამოსყიდულ იქნება 2024 წლის 19 ივნისს.

საგადასახადო გამოსყიდვა საქართველოში დაბეგვრასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენის დადგომის შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც ემიტენტი ვალდებული გახდება ობლიგაციებთან დაკავშირებით დამატებით თანხები გადაიხადოს, ემიტენტს ექნება უფლება გამოსყიდოს არსებული ობლიგაციები სრულად (მაგრამ არა ნაწილობრივ) ნებისმიერ დროს გამოსყიდვის თარიღამდე (გამოსყიდვის თარიღის გამოკლებით) მათ ნომინალურ ღირებულებას დამატებული დარიცხული პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ღირებულებით. იხილეთ „ობლიგაციის პირობები - პირობა 6(b) (გამოსყიდვა საგადასახადო და სხვა მიზეზებით)“.

კონტროლის ცვლილება კონტროლის ცვლილების (როგორც ეს განმარტებულია ობლიგაციის პირობებში („პირობები“) მოვლენის დადგომის შემთხვევაში, ობლიგაციონერებს ექნებათ უფლება მოითხოვონ ემიტენტის მიერ ობლიგაციების გამოსყიდვა კონტროლის ცვლილების ფუთის თარიღზე (როგორც ეს განმარტებულია „პირობებში“) მათი ღირებულების 101%-ად მათზე დარიცხულ პროცენტთან ერთად (კონტროლის ცვლილების ფუთის თარიღის გამოკლებით). იხილეთ „ობლიგაციის პირობები - პირობა 6(c) (ობლიგაციონერთა სურვილით გამოსყიდვა კონტროლის ცვლილების შემთხვევაში)“.

უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვა და სხვა დათქმები პირობა 4 (დათქმები) შეიცავს უზრუნველყოფის საშუალების წარმოშობის შეზღუდვას; დათქმები ზღუდავენ ემიტენტის და მისი არსებითი შვილობილის (როგორც ეს განმარტებულია „პირობებში“) მიერ შერწყმებს და გარიგებებს ემიტენტს, მის

შვილობილს და აფილირებულ პირებს (როგორც ეს განმარტებულია „პირობებში“) შორის; გარკვეულ ფინანსურ და რეგულაციურ დათქმებს; ინფორმაციის წარმოდგენის გარკვეულ ვალდებულებას (მათ შორის შესაბამისობის სერთიფიკატის წარმოდგენა); და სხვა დათქმებს. იხილეთ „*ობლიგაციის პირობები - პირობა 4 (დათქმები)*“.

დეფოლტის შემთხვევები იმ შემთხვევაში თუკი ადგილი ჰქონდა ან აქვს დეფოლტის შემთხვევას (როგორც ეს არის განმარტებული პირობა 9-ს (*დეფოლტი შემთხვევები*) მიხედვით), რწმუნებულმა შეიძლება, ან იმ მომენტში არსებული ობლიგაციების არანაკლებ ერთ-მეოთხედის მოთხოვნის ან განსაკუთრებული გადაწყვეტილების დავალების შემთხვევაში, უნდა (იმის გათვალისწინებით, რომ რწმუნებულის პოტენციური ზარალი მისი შეხედულებისამებრ იქნა დაზღვეული) გაავრცელოს შეტყობინება, რომ ობლიგაციები ნომინალური ღირებულების 100%-ის ოდენობით დარიცხულ პროცენტთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთად დაუყოვნებლივ გადასახდელები გახდნენ და არიან. იხილეთ „*ობლიგაციის პირობები - პირობა 9 (დეფოლტის შემთხვევები)*“.

საკრედიტო რეიტინგები ემიტენტს აქვს Moody's-ისგან მოკლევადიანი და გრძელვადიანი დეფოლტის რეიტინგი "Ba2" და "Ba3" ადგილობრივი და უცხოური ვალუტებისთვის. თიბისის მოკლევადიანი დეპოზიტების და კონტრაქტის რისკის რეიტინგი არის „Not-Prime“. Moody's-ის პროგნოზი ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგისთვის არის სტაბილური. ემიტენტს Fitch-ისგან მიღებული აქვს გრძელვადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი "BB-", მოკლევადიანი უცხოური ვალუტის დეფოლტის რეიტინგი "B", სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი "BB-" და მხარდაჭერის რეიტინგი "4". Fitch-ის პროგნოზი ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგისთვის არის სტაბილური.

მოსალოდნელია, რომ ობლიგაციებს ექნებათ "BB-" რეიტინგი Fitch-ისგან და "Ba2" რეიტინგი Moody's-ისგან.

Fitch და Moody's საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები დაარსდნენ და მოქმედებენ ევროპულ თანამეგობრობაში 2010 წლის 7 ივნისამდე და რეგისტრირებულნი არიან CRA რეგულაციის ფარგლებში.

ობლიგაციებისთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგები არ ნიშნავს, რომ ობლიგაციები წარმოადგენენ შესაფერის ინვესტიციას. რეიტინგი არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების შესყიდვის, გაყიდვის ან ფლობის რეკომენდაციას და ნებისმიერ დროს ექვემდებარება შესაბამისი სარეიტინგო ორგანიზაციის მიერ გადახედვას, შეჩერებას ან გამოთხოვას. სხვადასხვა ტიპის ფასიანი ქაღალდის მსგავსი რეიტინგი არ ნიშნავს, რომ ეს ფასიანი ქაღალდები ანალოგიურია. რეიტინგები არ აფასებენ შესაძლებლობას, რომ ობლიგაციების ძირი გადაიხდება წინსწრებით, გადაიხდება მოსალოდნელი გადახდის ბოლო დღეს ან გადაიხდება ნებისმიერ დღეს ობლიგაციის საბოლოო იურიდიული ვადამოსვლის დღემდე. რეიტინგები არ აფასებენ ობლიგაციების ლიკვიდურობას ან საბაზრო ფასს. ობლიგაციების

ან ემიტენტის რეიტინგის ნებისმიერმა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს იმ ფასზე, რომლის გადახდისთვისაც მზადაა ობლიგაციების შემდგომი მყიდველი. ყოველი რეიტინგის მნიშვნელობა უნდა გაანალიზდეს სხვა რეიტინგებისგან დამოუკიდებლად.

წყაროსთან დაკავების
გადასახადი ან გაზრდილი
ხარჯები; დარიცხული.....

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გადასახადის დაკავება კანონით არის მოთხოვნილი, ემიტენტის მიერ ან მისი სახელით პროცენტისა და ძირის ყველა გადახდა უნდა მოხდეს ნებისმიერი გადასახადის, მოსაკრებლის, გადასახდელის ან სამთავრობო ბეგარის გამოკლების, გამოქვითვის ან დაკავების გარეშე, იმისდა მიუხედავად თუ როგორ მოხდა მათი დაწესება, შეფასება, შეკრება ან დაკავება საქართველოში ან საქართველოს მიერ ან ნებისმიერი სხვა მმართველობის მიერ, რომელსაც აქვს გადასახადების დაწესების უფლებამოსილება *ობლიგაციის წესები—პირობა 8-ის (დაბეგვრა)* მიხედვით. იმ შემთხვევებში როდესაც ასეთი გადასახადის დაკავება კანონით არის მოთხოვნილი, ემიტენტი, გარდა იმ ზოგიერთი შემთხვევისა, რომელიც აღწერილია *ობლიგაციის წესები—პირობა 8-ში (დაბეგვრა)*, გადაიხდის ისეთ დამატებულ თანხას რომლის შედეგადაც ობლიგაციონერები მიიღებენ იმ თანხას, რომელსაც ისინი მიიღებდნენ ამგვარი გადასახადის დაკავება კანონით მოთხოვნილი რომ არ ყოფილიყო.

მიღებული სახსრების
გამოყენება

ემიტენტის მიერ ობლიგაციების განთავსებიდან მიღებული წმინდა სახსრები (განთავსების ხარჯების და მართვის, ანდერრაიტინგის, გაყიდვის და სხვა საკომისიოების გამოკლების გათვალისწინებით) მოხმარდება ზოგად კორპორაციულ საჭიროებებს.

ლისტინგი და ვაჭრობაზე
დაშვება

ლისტინგის განაცხადი შეტანილ იქნა Euronext Dublin-ში ობლიგაციების ოფიციალურ სიაში შეტანაზე და Euronext Dublin-ის რეგულირებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებაზე. დამატებით, მეორადი ლისტინგის განაცხადება შეიძლება შეტანილ იქნას საქართველოს საფონდო ბირჟაში.

გაყიდვაზე შეზღუდვა.....

ობლიგაციებს არ გაუვლიათ და არ გაივლიან რეგისტაციას აშშ-ში აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის მიხედვით ან აშშ-ს რომელიმე შტატის ან იურისდიქციის ფასიანი ქაღალდების რეგულატორის მიერ. ობლიგაციების შეთავაზება ან გაყიდვა არ მოხდება შეერთებულ შტატებში გარდა კვალიფიციური ინსტიტუციონალური მყიდველისა აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის წესი 144A-ს შესაბამისად ან სხვა გამონაკლისის ფარგლებში, რომელიც არ ექვემდებარება აშშ-ს ფასიანი ქაღალდების აქტის რეგისტრაციის მოთხოვნებს.

ამ ობლიგაციების შეთავაზება და გაყიდვა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს გაერთიანებულ სამეფოში, საქართველოში, შვეიცარიაში, რუსეთის ფედერაციაში, აზერბაიჯანში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (გარდა დუბაის საერთაშორისო ფინანსური ცენტრისა), დუბაის საერთაშორისო ფინანსურ ცენტრში, სინგაპურში, ჰონგ-კონგში, თურქეთში და სხვა იურისდიქციებში. იხილეთ „გამოწერა და

გაყიდვა“

კანონმდებლობა ობლიგაციები და რწმუნების მინდობილობა და ნებისმიერი არასაკონტრაქტო ვალდებულება რომელიც გამომდინარეობს მათგან ან მათთან დაკავშირებით დარეგულირდება და ინტერპრეტირებულ იქნება ინგლისის სამართლის მიხედვით.

არბიტრაჟი და იურისდიქცია ობლიგაციის და რწმუნების მინდობილობის თანახმად, დავები მოგვარდება არბიტრაჟის გზით ლონდონში, ინგლისი.

რისკ ფაქტორები ობლიგაციებში ინვესტიციის განხორციელებამდე, ობლიგაციების პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა განიხილონ პროსპექტში არსებული ყველა ინფორმაცია და განსაკუთრებით „რისკ ფაქტორებში“ არსებული ინფორმაცია.

ფასიანი ქაღალდის
საიდენტიფიკაციო ნომერი **რეგულაცია S-ის ობლიგაციები:**
ISIN: XS1843434363
საერთო კოდი: 184343436

წესი 144A-ის ობლიგაციები:
ISIN: US48128XAA19
საერთო კოდი: 111730601
CUSIP: 48128XAA1